# საქართველოს პრემიერ-მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 387 2019 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამიებო და სამაშველო ოპერაციებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე**

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამიებო და სამაშველო ოპერაციებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

**ნინო ფაცაციას** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის საზღვაო სამმართველოს უფროსი;

**ივერი მელაშვილს** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის, დემარკაციისა და სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი;

**თემურ ფიფიას** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების სამმართველოს მრჩეველი;

**ზაზა მახარაძეს** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე;

**ავთანდილ გეგენავას** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

**გიორგი გახარია**